

რწმენა შუამავლებისა

الإيمان بالرسول

< ქართული - Georgian – الجورجية >



ავტორი: მუჰამმედ სალიჰ ალ-მუნაჯჯიდ

اسم المؤلف: شيخ محمد صالح المنجد

შენიშვნა

მთარგმნელი: ნოდარ დავითაძე

რეფერატი: ვეისელ ორუჯოვი

ترجمة: نودار (شعبان) داويتادز

مراجعة: ويصل أروجوف

რწმენა შუამავლებისა



კითხვა: რას გულისხმობს შუამავლების რწმენა?

პასუხი: დიდდება ალლაჰს!

შუამავლების რწმენა ოთხ საკითხად შეიძლება განვიხილოთ:

პირველი:

უყოყმანოდ უნდა დავამოწმოთ, რომ ისინი ხალხს მხოლოდ ალლაჰზე თაყვანისცემისა და ალლაჰის გარდა სხვა ღვთაებების უარყოფისაკენ მოუწოდებდნენ. ალლაჰმა საზოგადოების ყველა თემს სხვადასხვა დროში თითო შუამავალი მოუვლინა. ყოველი შუამავალი საკუთარი სიტყვის ერთგულია. შუამავლები ალლაჰის მიერ არიან დამოწმებულნი. ისინი კეთილი, ერთგული, ღვთისმოსავნი და სანდო ადამიანები არიან. მათ ხალხს აცნობეს ყველა ის ბრძანება, რაც ალლაჰმა მათზე ჩამოავლინა, მათზე ჩამოვლენილი ბრძანებებიდან არაფერი არ დაუმალავთ და არც შეუცვლიათ. მათ ამ ბრძანებებზე საკუთარი ნებით არცერთი ბგერა არ მიუმატებიათ და არც მოუკლიათ.

უზენაესი ალლაჰი შუამავლების შესახებ ასე ბრძანებს:

فَهَلْ عَلَى الرُّسُلِ إِلَّا الْبَلَاغُ الْمُبِينُ

„შუამავლებს ცხადი ქადაგების გარდა სხვა რა აკისრიათ რა.“[\[1\]](#)

პირველი შუამავლიდან ბოლო შუამავლამდე ყველა შუამავალი ხალხს ერთ რამეზე ეპატიჟებოდნენ. ეს იყო საქმით, სიტყვით და რწმენით მხოლოდ ერთი ალლაჰის დიდება, მის მიმართ მორჩილება, მხოლოდ მასზე თაყვანისცემა, მის იმედად ყოფნა და მისი შიში, რასაც ერთი სიტყვით თავკიდი ეწოდება.

უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

وَمَا أَرْسَلْنَا مِنْ قَبْلِكَ مِنْ رَسُولٍ إِلَّا نُوحِي إِلَيْهِ إِنَّهُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنَا فَاعْبُدُونِ

„(მუჰამმედ! ისე) არ წაროგვიგზავნია შენზე წინ შუამავალი, რომ არ გვებრძანებინოს მისთვის: „ჩემს გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს დაე მე მეთაყვანეთო.“[\[2\]](#)

ალლაჰი კიდევ სხვა აიათში ასე ბრძანებს:

وَإِنَّا مَنْ أَرْسَلْنَا مِنْ قَبْلِكَ مِنْ رُسُلِنَا أَجَعَلْنَا مِنْ دُونِ الرَّحْمَنِ آلِهَةً يُعْبُدُونَ

„(მუჰამმედ!) ჰკითხე ჩვენს შუამავალთაგან (რომელიმეს ან რომელიმე მათ უმმეთთაგანს), ვინც წარმოგზავნეთ შენზე ადრე, თუ დაგვიდგენია მოწყალე ალლაჰის გარდა სხვა სათაყვანო?(ყოველი შუამავალი ისე ეპატიჟებოდა ხალხს, როგოც შენ ეპატიჟები. ისინიც ამბობდნენ ალლაჰი ერთია, მხოლოდ მას ეთაყვანეთ, მას არ გააჩნია არავითარი მოზიარე და მის გარდას ხვა ღვთაებებს ნუ ეთაყვანებიან.)“^[3]

ყურანში იგივე მნიშვნელობის აიათები ბლომადაა.

უზენაესი ალლაჰი ზოგიერთ რამეებს მხოლოდ შუამავლებისთვის აწესებს ფარმად, როგორებიცაა: თეჰეჯჯუთ ნამაზი, დღეჩაგდებით მარხვა და სხვა. ასევე ალლაჰი გამოცდის მიზნით შუამავლებისთვის ზოგიერთ ჰალალ რამეებს ჰარამადაც აწესებს. მაგალითად: ზეჟათისა და მოწყალეების აღება შუამავლისთვის ჰარამია.

უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

الَّذِي خَلَقَ الْمَوْتَ وَالْحَيَاةَ لِيُبَيِّنَ لَكُمْ أَحْسَنُ عَمَلًا ۖ وَهُوَ الْعَزِيزُ الْغَفُورُ

„(ალლაჰია) რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ თუ რომელი თქვენგანი იქნებოდა საქმით უფრო კარგი. და ის ღირსეული (უძლეველი) და უსაზღვროდ მპატიებელია.“^[4]

კიდევ ერთ აიათში ასე ბრძანებს:

لِكُلِّ جَعَلْنَا مِنْكُمْ شِرْعَةً وَمِنْهَا جَا

„თითოეულ თქვენთაგანს ჩვენ დავუდგინეთ კანონი და გზა.“^[5]

‘აბდულლაჰ ბინ ‘აბბასი (რ.ა.) ამ აიათის შესახებ ასე ამბობდა: „ყოველ თქვენთაგანს დაგიდგინეთ გზა და სუნნეთი.“

მუჯაჰიდი, ‘იქრიმე და ზოგიერთი სხვა მუფესსირებიც^[6] იგივეს ამბობენ.

აბუ ჰურიერასგან (რ.ა.) გამდომცემის მიხედვით ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ასე თქვა:

أَنَا أَوْلَى النَّاسِ بِبِعِيسَى ابْنِ مَرْيَمَ فِي الدُّنْيَا وَالْآخِرَةِ، وَالْأَنْبِيَاءِ إِخْوَةٌ لِعَلَّتِ، أُمَّهَاتُهُمْ شَتَّى، وَدِينُهُمْ وَاحِدٌ

„მე ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც მარიამის ძე ‘ისასთან (ა.ს.) ადამიანებს შორის ყველაზე ახლოს მყოფი ვარ. შუამავლები ძმები არიან, რომლებსაც სხვადასხვა დედები ჰყავთ, თუმცა ყოველი მათგანის რჯული ერთია.“^[7]

ანუ უზენაესი ალლაჰის მიერ ჩამოვლენილი ყოველი წმინდა წიგნის მთავარი საკითხი თავპიდია. ხოლო შუამავლების შარიათები, ბრძანებები, ნებადართული თუ აკრძალული რამეები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, რადგან შუამავლები იმ ძმებს ჰგავან, რომლებსაც სხვადასხვა დედები ჰყავთ. ვინც ერთი რომელიმე შუამავალის შუამავლურ მისიას უარყოფს, ის უარყოფს სხვა შუამავლებსაც.

რადგან უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

كَذَّبَتْ قَوْمُ نُوحٍ الْمُرْسَلِينَ

„ნუჰის ხალხმა შუამავლები უარყვეს.“^[8]

ნუჰ შუამავალის (ა.ს.) ხალხმა უარყვეს იგი და არ ირწმუნეს მისი შუამავლობა. მათ მხოლოდ ის ერთი უარყვეს, მასთან ერთად სხვა შუამავალი არ ყოფილა, მაგრამ ალლაჰმა ეს ჩაუთვალა ისე, როგორც ყველა შუამავლების უარყოფად და ბრძანა: „ნუჰის ხალხმა შუამავლები უარყვეს.“

მეორე:

მუჰამმედი, იბრაჰიმი, მუსა, ‘ისა და სხვა შუამავლები (ა.ს.), რომლეთა სახელებიც ვიცით თავიანთ სახელებთან ერთად გვწამს. ზოგადად ყველა შუამავლის გვწამს, რომელთა სახელებიც არ ვიცით.

უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

آمَنَ الرَّسُولُ بِمَا أُنزِلَ إِلَيْهِ مِنْ رَبِّهِ وَالْمُؤْمِنُونَ ۚ كُلٌّ آمَنَ بِاللَّهِ وَمَلَائِكَتِهِ وَكُتُبِهِ وَرُسُلِهِ لَا نُفَرِّقُ بَيْنَ أَحَدٍ مِّنْ رُّسُلِهِ ۚ وَقَالُوا سَمِعْنَا وَأَطَعْنَا ۗ غُفْرَانَكَ رَبَّنَا وَإِلَيْكَ الْمَصِيرُ

„ირწმუნა შუამავალმა ის რაც ჩამოველინა თავისი ღმერთისგან და მორწმუნეებმაც (ირწმუნეს). ყველამ ირწმუნა ალლაჰი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები და მის მიერ წარმოგზავნილი შუამავლები. ჩვენ არ განვასხვავებთ არცერთს მის მიერ წარმოგზავნილ შუამავალთაგანს. (ისინი) ამბობენ გვესმა და დავემორჩილეთ, შენს პატიებას (მოველით) ღმერთო ჩვენო და შენთანაა (ბოლოს) მოსასვლელი.“^[9]

ალლაჰი ამის შესახებ სახვა აიათში ასე ბრძანებს:

وَلَقَدْ أَرْسَلْنَا رُسُلًا مِّن قَبْلِكَ مِنْهُمْ مَّن قَصَصْنَا عَلَيْكَ وَمِنْهُمْ مَّن لَّمْ نَقُصِّصْ عَلَيْكَ

„ვფიცავ, ჩვენ შენზე ადრეც წარმოგზავნეთ შუამავლები. მათგან არიან ისეთები ვისზეც გიაშბეთ შენ და მათგან არიან ისეთები ვისზეც არ გვითქვამს შენთვის.“^[10]

ჩვენ გვწამს, რომ მუჰამმდი არის (ს.ა.ს.) ბოლო შუამავალი და მის შემდეგ შუამავალი აღარ მოვა.

აღლაჰი ამის შესახებ თავის წმინდა წიგნში ასე ბრძანებს:

مَا كَانَ مُحَمَّدٌ أَبَا أَحَدٍ مِّن رِّجَالِكُمْ وَلَكِن رَّسُولَ اللَّهِ وَخَاتَمَ النَّبِيِّينَ ۗ وَكَانَ اللَّهُ بِكُلِّ شَيْءٍ عَلِيمًا

„არ ყოფილა მუჰამმედი მამა რომელიმე თქვენი კაცების, თუმცა აღლაჰის შუამავალი და შუამავალთა (ჯაჰჯვის ბოლო) რგოლია. ჭეშმარიტად აღლაჰი ყოვლის მცოდნეა.“^[11]

გადმოცემის მიხედვით სა'დ ბინ აბუ ვაყყასმა (რ.ა.) ასე თქვა:

أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ خَرَجَ إِلَى تَبُوكَ وَاشْتَخَلَفَ عَلِيًّا، فَقَالَ: أَتُخَلِّفُنِي فِي الصَّبِيَّانِ وَالنِّسَاءِ؟ قَالَ: أَلَا تَرْضَى أَنْ تَكُونَ مِنِّي بِمَنْزِلَةِ هَارُونَ مِنْ مُوسَى؟ إِلَّا أَنَّهُ لَيْسَ نَبِيًّا بَعْدِي

„აღლაჰის შუამავალმა თებუქში (ჯიჰადისთვის) გამგზავრებისას 'ალი (მედინაში) დატოვა. 'ალიმ (რ.ა.) ამაზე ასე უთხრა: მე ქალებთან და ბავშვებთან მტოვებ? შუამავალმა უპასუხა: განა კმაყოფილი არ ხარ ისე ახლოს იყო ჩემთან როგორც ჰარუნი იყო მუსასთან? მაგრამ ჩემს შემდეგ შუამავალი აღარ მოვა.“^[12]

უზენაესმა აღლაჰმა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს.) სხვა შუამავლებთან შედარებით უპირატესყო და მას ზოგიერთი მაღალი თვისებები მიანიჭა. ეს თვისებები შემდეგია:

1. აღლაჰმა იგი ადამიანებსაც და ჯინებსაც ყველას შუამავლად მოუვლინა. მუჰამმედ შუამავლამდე (ს.ა.ს.) მოვლენილი შუამავლები მხოლოდ თავიანთი თემისთვის იყვნენ მოვლენილნი და ყოველი მათგანი აუწყებდა ხალხს მის შემდგომ მოსასვლელ შუამავალზე, რაც იმაზე მიუთითებდა რომ ეს უკანასკნელი ბოლო შუამავალი არ იყო.

2. აღლაჰის დახმარებით ერთი თვის სავალი გზის სიმორიდან მისი მტრების გულებში შიში იღებდა სადგურს.

3. მთელი დედამიწა მისთვის სუფთაა და აღლაჰმა იგი მესჯიდად (სამლოცველოდ) დაუდგინა.

4. აღლაჰმა მას ჯიჰადის შედეგად მონაპოვარი ნადავლი ჰალაღად დაუდგინა.

5. მუჰამმედ შუამავალს (ს.ა.ს.) მიეცემა მსახურთა ქომაგობის უფლება.

ამ ჩამოთვლილის გარდა, მუჰამმედ შუამავალს (ს.ა.ს.) სხვა მრავალი აღმატებული თვისებები ახასიათებდა.

მესამე:

ვამოწმებთ ყველაფერს, რაც თუ შუამავლებმა გადმოგვცეს.

მეოთხე:

ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიცხოვროთ იმ შარიათის მიხედვით, რომელიც ჩვენთვის წარმოგზავნილმა მუჰამმედ შუამავალმა (ს.ა.ს.) გვამცნო.

ამის შესახებ უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

فَلَا وَرَبِّكَ لَا يُؤْمِنُونَ حَتَّىٰ يُحَكِّمُوكَ فِيمَا شَجَرَ بَيْنَهُمْ ثُمَّ لَا يَجِدُوا فِي أَنفُسِهِمْ حَرَجًا مِّمَّا قَضَيْتَ وَيُسَلِّمُوا تَسْلِيمًا

„არა და არა ვფიცავ ღმერთსა შენსა, მანამ არ ირწმუნებენ სანამ, მსაჯულად არ აგიყვანენ იმაში რაზეც უთანხმოებაა მათ შორის და შემდეგ თუ სრული მორჩილებით არ დაემორჩილებიან შენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ისე რომ მცირედი საჭოჭმანოც კი არ ჰქონდეთ გულებში.“^[13]

შუამავლის რწმენასთან სხვა ბევრი საკითხებია დაკავშირებული. ამათგან ზოგიერთი ესენია:

1. შუამავლის რწმენა ხელს გვიწყობს უფრო უკეთ გავაცნობიეროთ ალლაჰის ჩვენზე მოღებულნი წყალობა. ალლაჰს ადამიანები ძალიან უყვარს და მათ აფასებს, მან არაერთი შუამავალი წარმოუგზავნა ადამიანებს, რათა მათთვის ესწავლებინათ სწორი გზა და ამ სწორ გზაზე სვლის წესები. ამ სწორ გზაზე სვლის წესები ღვთის მსახურებაა, ალლაჰის ბრძანებების შესრულება და აკრძალულებისგან შორს დგომა. ადამიანებს შუამავლები აუცილებლად ესაჭიროებათ, რადგან ადამიანები თავიანთი ჭკუით ვერ იპოვიან ალლაჰისკენ მიმავალ გზას და ვერ გაარკვევენ ალლაჰის წინაშე რომელი საქმე იქნება მოსაწონი და რომელი მოუწონარი.

2. შუამავლების რწმენა ხელს გვიწყობს მაღლიერნი ვიყოთ უზენაესი ალლაჰისა, რომელმაც მოგვცა ეს დიდი წყალობა.

3. ასევე მათი რწმენითაა გამოწვეული, როცა ისინი გვიყვარს, მათ საკადრისად ვაფასებთ და კეთილად ვიხსენებთ, რადგან ისინი ალლაჰის შუამავლები და რჩეული მსახურები არიან. ისინი ღვთისმოსავნი,&ნბსჰ; ალლაჰის მიერ დაკისრებული შუამავლური მისიის შემსრულებელნი, ხალხის აღმზრდელნი და ამ გზაზე უამრავი სირთულის ამტანნი არიან.

ალლაჰმა ყველაფერი უკეთ იცის!

[1] სურა ნაჰლ, 16/35-ე აიათი.

[2] სურა ენზია, 21/25-ე აიათი.

- [3] სურა ზუჰრუფ, 43/45-ე აიათი.
- [4] სურა მულქ, 67/2-ე აიათი.
- [5] სურა მადე, 5/48-ე აიათი.
- [6] თეფსირის, ანუ ყურანის განმარტების მეცნიერები.
- [7] გადმოგვემს ბუხარი და მუსლიმი.
- [8] სურა შუარა, 26/105-ე აიათი.
- [9] სურა ბაყარა, 2/285-ე აიათი.
- [10] სურა მუ'მინ, 40/78-ე აიათი.
- [11] სურა აჰზაბ, 33/40-ე აიათი.
- [12] ბუხარი, 3.ნ. 4416; მუსლიმი, 3.ნ. 2404.
- [13] სურა ნისა, 4/65-ე აიათი.

